პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 მარტი კვირა 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 66 (15279)

## შეჯიბრების მოწინავენი — ᲩᲣᲗᲘᲗᲚᲔᲯᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ!

ᲭᲘᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). ინჟინერი გ. ტყემალაძე ახალი ითხვისის მაღაროში საქმის ცოდნითა და მონდომებით უძღვებოდა მადნის ბურღვა-აფეთქების რთულ საქმეს. მაგრამ წარმოების ინტერესებმა მოითხოვა და მას ჩამორჩენილი უბნის სელმძღვანელობა დაავალეს. კომუნისტი ინჟინერი სიძნელეებს როდი შეუშინდა, დარაზმა უბნის კოლექტივი, გაატარა ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებანი და უბანმა თავი დააღწია ჩამორჩენას, ყოველთვიურ დავალებებს 112 პროცენტით ასრულებდა.

დეკემბერში მაღაროს № 14 საწარმოო უბანი ჩამორჩა. მდგომარეობის გამოსასწორებლად იქ კლავ გ. ტყემალაძე გაიგზავნა. უნარიანმა უბნის თავკაცმა გულით მოკიდა სამუშაოს ხელი და ეს საწარმოო უბანიც მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

სურათზე: ინჟინერი გ. ტყემალაძე.

ფოტო თ. შეუილაძისა.

## პროფკავშირი — კომუნიზმის სკოლა

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნის მშრომელთა გიგანტური შემოქმედება, საწარმოო, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ მიერ მოპოვებული წარმატებანი განუყოფელია პროფკავშირთა საქმიანობისაგან, რომლებიც ღირსეულად ასრულებენ დიდ ლენინურ ანდერძს — „ᲬᲘᲜ მართვის, მეურნეობის გაძღოლის, კომუნიზმის სკოლა.

ხვალ მოსკოვში გაიხსნება საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობა, რომლის დელეგატები საქმიანად განიხილავენ მშრომელთა ამ ყველაზე მასობრივი ორგანიზაციების, კომუნისტური მშენებლობის ახალ ეტაპზე მათი საქმიანობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საერბოროტო საკითხებს.

ყრილობის დელეგატთა შორის იქნება ჩვენი რესპუბლიკის მუშა წარმომადგენელიც. მათ სრული უფლება აქვთ თქვან, რომ საქართველოს პროფკავშირები პირნათლად ასრულებენ მშრომელთა აღმზრდელისა და ორგანიზატორის როლს.

როგორც ცნობილია, პროფკავშირის საფუძველია პირველადი ორგანიზაცია. ამიტომ რამდენადაც მტკიცე და ბრძოლისუნარიანია თვითეული პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია, იმდენად სიცხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს მთელი შრომითი კოლექტივი. ბევრი კარგი რამის თქმა შეიძლება ამ მხრივ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის, თბილისის საავიაციო ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტების, „ᲘᲘათურმარგანეცის“ ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს პროფკავშირის მაღაროს კომიტეტის, ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის პროფკავშირის საშახტო კომიტეტის, სამრეწველის სავაგონო დეპოს ადგილკომისა და სხვათა მუშაობის შესახებ.

მისაბაძია რესპუბლიკის მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პროფკავშირული ორგანიზაციების ნაყოფიერი მოღვაწეობაც.

სკკპ XXIV ყრილობამ განსაზღვრა პარტიის ეკონომიური პოლიტიკის უმაღლესი მიზანი — ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება. აქედან გამომდინარეობს მეცხრე ხუთწლედის მთავარი ამოცანაც — მნიშვნელოვნად აამაღლოს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე.

პროფკავშირთა მოქმედების საბრძოლო პროგრამად გადაიქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

უკანასკნელი წლები ხასიათდება პროფკავშირული აქტივის მნიშვნელოვანი ზრდით. ახლა რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობს 800 ათასზე მეტი ხაზოგადებრივი მუშაკი. რესპუბლიკის პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების 97,6 პროცენტი საზოგადებრივ საწყისებზე მუშაობს. პროფკავშირები ახლა უკეთ წყვეტენ სოციალურ- საყოფაცხოვრებო საკითხებს, მხარს უჭერენ ყოველ სახარგებლო თაოსნობას.

მაგრამ, ყოველივე ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროფკავშირული მუშაობის დონე ყოველთვის როდი შეესაბამება გაზრდილ ამოცანებს. ზოგიერთი რესპუბლიკური კომიტეტი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ წყვეტს მათ წინაშე მდგომ ამოცანებს, სუსტია კავშირი სამინისტროებთან, უწყებებთან და პირველადს პროფკავშირულ ორგანიზაციებთან. ამითაც აიხსნება ის, რომ თბილისის მრეწველობა ვერ ასრულებს მთელ რიგ სახეობათა პროდუქციის გამოშვების დავალებებს. შარშან აქ ყოველ მეოთხე საწარმოში შემცირდა რეალიზებული პროდუქციის მოცულობა. მთლიანად რესპუბლიკაში კი პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ვერ შეასრულა 78 საწარმომ, ბევრგან იყლო შრომის ნაყოფიერებამ, ნელი მაღლდება წარმოების ტექნიკური დონე, ხრულად ვერ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა პროდუქციის ხარისხს.

ზოგან სათანადოდ არ ზრუნავენ სამუშაო დროის ეფექტურად გამოყენებისათვის. მაგალითად, რესპუბლიკის საწულ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში 1971 წელს, წინა წელთან შედარებით არა თუ არ შემცირდა, არამედ კიდევაც გაიზარდა სამუშაო დროის დანაკარგები.

ამნენდის რთულ პირობებში ჩაღდება ჩვენთან საგანგებოდ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ამიტომ ახლა, როგორც არასდროს, აუცილებელია პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მოქნილი მუშაობა სოფლის მშრომელთა დარაზმვისათვის უხვი მოსავლის მისაღებად. ამ გაზრდილი ამოცანების გადაწყვეტაში კი დიდი როლი ეკუთვნით სასოფლო პროფკავშირულ ორგანიზაციებს. მათ უნდა გამოიყენონ ყველა ორგანიზაციული ფორმა, მორალური და მატერიალური სტიმულირების სხვადასხვა ღონისძიებანი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორთა მხარდასაჭერად, რომლებიც მაღალ ვალდებულებებს კისრულობენ.

ორიოდე ჟვირის წინათ პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი გამსჭვალულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის ზრუნვით ჩვენი რესპუბლიკის, მისი დედაქალაქის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის. ამიტომ ჩვენი გადაუდებელი ვალია დადგენილება გულდასმით გავაცნოთ თვითეულ პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციას, ყოველ მცხოვრებს, მთელი მშრომელი მოსახლეობის ძალღონე და ენერგია მოვახმაროთ დასახული ამოცანების უთუოდ შესრულებას.

საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობა, რომელიც თავისუფალ ერთა ძმური კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში იმართება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მთელი პროფკავშირული მუშაობის ახალ აღმავლობას, კომუნისტური მშენებლობის დაჩქარებას.

## სსრკ 50

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახებ

# ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ, ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ:

„ᲒᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲕᲔᲑᲘᲡᲘᲡᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲓᲐ, ᲗᲣ ᲠᲐᲝᲓᲔᲜ ᲣᲮᲕᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ ᲛᲝᲛᲙᲕᲔᲡ ᲛᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲥᲐᲕᲨᲘᲠᲘᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ, ᲠᲐ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲗᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲕᲡ ᲘᲑᲘ ᲛᲝᲛᲐᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲣᲫᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲜᲢᲠᲐᲪᲘᲐᲛ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲣᲐᲒᲖᲐᲠᲛ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲛ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲛᲪᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲥᲪᲘᲐᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲬᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲐᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ.

„ᲐᲯᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲦᲡᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲠ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲜᲢᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ XV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.

ᲔᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲛᲣᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲖᲠᲣᲜᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲜᲢᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ XV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.

ᲔᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲛᲭᲕᲐᲚᲣᲚᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲖᲠᲣᲜᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲜᲢᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ

# მინათმოქმედთა შეჯიბრების დევიზია: არ დავიმუროთ ძალ-ღონე უხვი მოსავლის მოსაყვანად

## ქმბროლაურისა და ხაშურის რაიონების სოფლის მშრომელთა ვალდებულებანი ლობიოს წარმოების დარგში

ქმბროლაურის რაიონის მიწათმოქმედნი ისწრაფვიან შექმნან ლობიოს წარმოებისა და დამზადების მტკიცე ბაზა. მათ გადაწყვიტეს მომდინარე წელს ეს კულტურა დათესონ ას ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 22 ჰექტარის ნაცვლად. დასათესად გამოიყენონ „რაჟულის“ ჯიშის მაღალკონდიციური თესლი, დაიცვან აგროტექნიკური ვადები და ნორმები, ნიადაგში შეიტანონ საკმარისი რაოდენობის ორგანული და მინერალური სასუქები. მათ დასახელი აქვთ მოაწყონ ნიადაგის პირველადი დამუშავება — ბადადარეა და ყულტივაცია 3-4 ფოთლის ფაზაში, მეორე კი 10-12 დღის შემდეგ. შემუშავებულია პიროტექნიკიდან ნთესლების დაცვის ღონისძიებანი. მოსავლის აღებენ აგროტექნიკურ ვადებში და ოპანაკირეოდ. ვალდებულებული ჰექტარზე ხაშუალოდ მოიწონ 10 ცენტნერი ლობიო.

რაიონში ლობიოსა და სიმინდის შერეული ნათესები დაიკავებს 1.000 ჰექტარს. თესვის დროს დაიცავენ აგროტექნიკურ ვადებსა და წესებს, ნათესებში შეიტანენ საჭირო სასუქებს და სანიმუშოდ დაამუშავებენ ნიადაგს. შერეული ნათესების თვითეულ ჰექტარზე მოიწევენ საშუალოდ სამ ცენტნერ ლობიოს.

რაიონის კოლმეურნეობებს გადაწყვეტილი აქვთ მიმდინარე წელს სახელმწიფოს მიაყიდონ 150 ტონა მაღალხარისხოვანი ლობიო, ხოლო შემდგომ ყოველწლიურად გადადიან ლობიოს წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობა.

გაინსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ ლობიოს სათესლე ფონდის შექმნას: უკვე გამოყოფილია სათესლე ნაკვეთები. თესლისათვის გათვალისწინებულ მოსავალს წინასწარი შემოწმების შემდეგ ცალ-ცალკე, ჯიშების მიხედვით გაპარკავენ და გაჩურჩავენ. განიავებულ და გაწმენდილ სათესლე ლობიოს საიმედოდ შეინახავენ ტომრებში, ან შშრალ და ისეთ საცავებში, რომლებიც კარგად ნიადგება. რაიონის მეურნეობათა მოთხოვნილებას სათესლე ლობიოზე მთლიანად დაკმაყოფილებენ საკუთარი წარმოების ზზით, სახელმწიფო მიიღებს აგრეთვე მაღალხარისხოვან სათესლე მასალას.

კიდევ უფრო დიდ ვალდებულებებს კისრულობენ ცალკეული მეურნეობანი. სოფელ ნიკორწმინდის კოლმეურნეობამ გადაწყვიტა ლობიო დათესოს 8 ჰექტარზე, სიმინდის მთელ ნათესებს შეურეოს ლობიო, ნათესები დაამუშაოს მაღალ აგროტექნიკურ დონეზე, ჰექტარზე მოიწიოს საშუალოდ 11 ცენტნერი ლობიო, ხოლო შერეულ ნათესებში — 3 ცენტნერი ლობიო. ლობიოს მთელი მოსავალი მიჰყიდოს სახელმწიფოს.

სოფელ სხვავის კოლმეურნეობა პირობას დებს, რომ ლობიოს დათესავს 4 ჰექტარზე, სიმინდის მთელ ნათესებს შეურევს ლობიოს, ლობიოს ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიწევს 11,5 ცენტნერს, ხოლო შერეულ ნათესში — 3,5 ცენტნერს. ლობიოს მთელ მოსავალს სახელმწიფოს მიჰყიდის.

ლობიოს წარმოებისა და დამზადების დარგში მაღალი ვალდებულებანი აკისრეს აგრეთვე სოფელ ქელიაღელის, ხონკეორის, ხოტევის, კაჩეთისა და ბოსტანის კოლმეურნეობებმა.

გადაწყვეტილია ყურადღება დათმონ აგრეთვე სასურსათო სამარცვლე-პარკოსან კულტურებს. ცარცას, მუხუდოს, ცელისპირას.

გამავითარებენ რა სამარცვლეპარკოსანი კულტურების წარმოებას, ამბროლაურელი მწყათმოქმედნი არ შეიძლებენ ყურადღებას მეგენახეობისადმი. მათ აკისრეს ვალდებულება სახელმწიფოს მიაყიდონ 3.860 ტონა ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 3.600 ტონის ნაცვლად.

ხაშურის რაიონის მემინდვრეებმა ვალდებულება აკისრეს 220 ჰექტარი ლობიოს ნათესის თვითეულ ჰექტარზე მოიწიონ 12 ცენტნერი ლობიო გეგმით გათვალისწინებული 7 ცენტნერის ნაცვლად, 172 ჰექტარი შერეული ნათესების თვითეულ ჰექტარზე მოიწიონ 8 ცენტნერი ლობიო, გეგმით გათვალისწინებული 5,3 ცენტნერის ნაცვლად. სულ ისინი აწარმოებენ 404 ტონა ლობიოს გეგმით გათვალისწინებული 280 ტონის ნაცვლად და სახელმწიფოს მიჰყიდიან 120 ტონა ლობიოს, დავალებაზე 30 ტონით მეტს.

„ზემო ქართლის“ კოლმეურნეობამ ვალდებულება აკისრა 35 ჰექტარი ლობიოს ნათესების თვითეულ ჰექტარზე მოიწიოს 12 ცენტნერი, გეგმაზე ერთიორად მეტი, 25 ჰექტარი შერეული ნათესების თვითეულ ჰექტარზე მოიწიონ 8 ცენტნერი ლობიო, რაც აგრეთვე ერთიორად აღემატება დავალებას. სულ აქ აწარმოებენ 63 ტონა ლობიოს 43 ტონის ნაცვლად, სახელმწიფო მიიღებს 15 ტონა ლობიოს გეგმით გათვალისწინებული 9 ტონის ნაცვლად.

ალის მეგენახეობის ხაბჭოთა მეურნეობას კოლექტივმა გადაწყვიტა 26 ჰექტარი ლობიოს ნათესების თვითეულ ჰექტარზე მოიწიოს 12 ცენტნერი ლობიო, გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერის ნაცვლად, 10 ჰექტარი გამოყოფ შერეული ნათესებისათვის და თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 8 ცენტნერი ლობიო გეგმით გათვალისწინებული 6 ცენტნერის ნაცვლად. სულ ალიღებები აწარმოებენ 392 ცენტნერ ლობიოს გეგმით გათვალისწინებული 320 ცენტნერის ნაცვლად. სახელმწიფოს მიჰყიდიან 30 ტონა პროდუქციას გეგმით გათვალისწინებული 21 ტონის ნაცვლად.

სოფელ სურამის კოლმეურნეობამ ვალდებულება აკისრა ლობიო დათესოს 33 ჰექტარზე და თვითეულ ჰექტარზე მოიწიოს 10 ცენტნერი, დავალებაზე ერთიორად მეტი, ხოლო 27 ჰექტარი შერეული ნათესების თვითეულ ჰექტარზე მიიღოს დაგეგმილზე ერთიორად მეტი — 8 ცენტნერი. სურამელები აწარმოებენ 546 ტონა ლობიოს, ანუ 300 ცენტნერის ნაცვლად, ხოლო სახელმწიფოს მიჰყიდიან 14 ტონას გეგმით გათვალისწინებული 8 ტონის ნაცვლად.

წელს, ისევე როგორც წინა წლებში, დიდი ყურადღება დაეთმობა წმაწანი კულტურების — ხილისა და ბაჭრის ჯარხლის წარმოების გადიდებას. ხაშურის რაიონის სოფლის მშრომელებმა ვალდებულება აკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 4.800 ტონა მაღალხარისხოვანი ხილი გეგმით გათვალისწინებული 4.380 ტონის ნაცვლად, 16 ათასი ტონა ბაჭრის ჯარხალი 14.500 ტონის ნაცვლად.

## თეთრი წყაროს რაიონის სოფლის მშრომელთა ვალდებულებანი

რაკი ბანს რა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, თეთრი წყაროს რაიონის მიწათმოქმედებმა და მეცხოველეებმა აკისრეს გადიდებული ვალდებულებანი 1972 წლისათვის.

მათ გადაწყვიტეს აწარმოონ 15.335 ტონა მარცვლეული გეგმით გათვალისწინებული 14.991 ტონის ნაცვლად. კარტოფილის ბაზე 6 ტონით მეტს, მატყლისა — 86 ტონას, ორი ტონით მეტს, კვერცხისა — 3,3 მილიონს გეგმით გათვალისწინებული 3,12 მილიონის ნაცვლად.

ხაზელმწიფოს მიჰყიდიან 1.295 ტონა მარცვლეულს გეგმიერ გათვალისწინებული 1000 ტონის ნაცვლად, 2.400 ტონა ხორცს 2.057 ტონის ნაცვლად, 5.632 ტონა რძეს გეგმით გათვალისწინებული 5.050 ტონის ნაცვლად, 155 ტონა მატყლს 142 ტონის ნაცვლად, 1,5 მილიონ კვერცხს 1,07 მილიონის ნაცვლად.

სოციალისტური შეჯიბრებისა და პარტიულ-პოლიტიკურ ღონისძიებათა შედეგად 1972 წლის 7 ნოემბრისათვის შესრულდება სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური დავალებანი, ხოლო წლის დამლევისათვის — ვალდებულებანი.

ცალკეულმა მეურნეობებმა და მოწინავეებმა უფრო გადიდებული ვალდებულებანი აკისრეს.

სოფელ ჯორჯიაშვილის კოლმეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება აკისრეს 100 ნერგზე მიიღონ 90 ბატკანი, სახელმწიფოს მიჰყიდონ 67 ტონა ხორცი გეგმით გათვალისწინებული 60 ტონის ნაცვლად, 270 ტონა რძე გეგმით გათვალისწინებული 235 ტონის ნაცვლად, [illegible] ნათესებიდან [illegible] — ჰექტარზე მოიწონ 25 ცენტნერი სიმინდის მარცვალი [illegible] — [illegible] ტონის ნაცვლად.

სოფელ ირგვის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გადაწყვიტეს საშუალოდ ჰექტარზე მოიწონონ 155 ცენტნერი კარტოფილი გეგმით გათვალისწინებული 135 ცენტნერის ნაცვლად და 285 ცენტნერი ბოსტნეული 250 ცენტნერის ნაცვლად.

მანგლისის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება აკისრა საშუალოდ 100 ძროხაზე მიიღოს 82 ხბო, 100 ნერგზე — 87 ბატკანი. საშუალოდ საფურაჟე ძროხაზე მიიღოს 1800 კილოგრამი რძე, სულ აწარმოებენ 335 ტონა ხორცს გეგმით გათვალისწინებული 290 ტონის ნაცვლად, 1600 ტონა რძეს 1594 ტონის ნაცვლად.

გადიდებული ვალდებულებანი აკისრეს აგრეთვე სოფლების ასურეთის, კოდის, ბორბალოს, დურნუკის, ალგეთის. კლდეეთისა და ხამშვილდის კოლმეურნეობებმა.

**ვალდებულებანი მიღებულია ამბროლაურის, ხაშურისა და თეთრი წყაროს რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებებზე.**

**მოწონებულ იქნას საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების მოწინავე კოლექტივების ინიციატივა სსრ კავშირის იუბილეს ღირსეული შეხვედრისა და მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საკითხი.**

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მომზადების შესახებ“.**

## მეკეტრმრგებლები ამოწმებენ რეზერვებს

თბილისს № 4 სატვირთო-ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში.

აქ გაიმართა საწარმოს მუშაკთა საერთო კრება, რომელზეც განიხილეს განვლილი წლის მუშაობის შედეგები და წლევანდელი წლის გეგმები, შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ პროფკავშირის აღგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე ი. დ. ტიგიშვილი, საწარმოს დირექტორი შ. შ. ინასარიძე, მოწინავე მძღოლები ხ. ლ. სამჭკუაშვილი და ჯ. პ. ბრეანოვი, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ექსპლოატაციის უფროსი გ. შ. ხაბიშვილი, წარმოების უფროსი ვ. ნ. ხოხინი.

კრების მონაწილეებმა განიხილეს და იკისრეს ახალი, გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი 1972 წლისათვის. ვალდებულებებით, კერძოდ, გათვალისწინებულია შესასრულონ ტვირთზიდვის წლიური გეგმა ვადამდე, 25 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გადაუხდონ 50 ათასი ტონა ტვირთი, პარკის გამოყენების კოეფიციენტი აიყვანონ 75 პროცენტამდე გეგმით გათვალისწინებული 71 პროცენტის ნაცვლად, უსტოლოგიელების მუშაობის ხანგრძლივობა კი — 10 საათამდე მიღწეული 8,5 საათის ნაცვლად, გაადიდონ ტვირთამფოფოა ათი პროცენტით, დაზოგონ 20 ათასი ლიტრი საბოგზი, გაადიდონ თვითეული ავტოსალტის გარაჟნის ნორმა სამი ათასი კილომეტრით.

№ 4 ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივმა რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის ყველა მუშაკს მოუწოდა გაიფიქროთონ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის შეჯიბრების მონაწილეთა რიგებში.

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი ნ. ნ. დავითაშვილი და საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ი. დ. კაკაშვილი. მათ აღუთქვეს შეკრებილთა, რომ სამინისტროს და კომიტეტის ხელმძღვანელობა ყოველნაირად დაეხმარს მხარეს პატრიოტულ თაოსნობას. (საქინფორმი).

## დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 17 მარტის ბრძანებულებებით საბჭოთა სახვითი ხელოვნების დარგში ნაღვაწლიანი მსახურებისთვის მიენიჭოს „ხალხის მხატვრის“ სახელწოდება: ალეკო ალეკოზიშვილი, ბორის ბაბალიანი, ალექსანდრე ბაბაიანი, ალექსანდრე ბაბაიანი, ალექსანდრე ბაბა

# ᲐᲗᲐᲡᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ — ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲖᲔ**

ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲥᲕᲘᲜᲘᲡ ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲡ მაგისტრალებზე მძიმე წონის შემადგენლობებს ლაᲓᲐᲓ დააქროლებენ რვაᲚᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲚᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘ. ისინი მოსწონთ მამაკაცი პროფესიის ადამიანებს — რკინიგზელ მემანქანეებს.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲚᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘ: ეს მძლავრი გიგანტები ᲩᲕᲝᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ უდიდეს საწარმოში. სასახელო ტრᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ მქონე თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში იბადებიან, იქ, სადაც შრომობენ მუშათა კლასის სახელოვანი წარმომადგენლები — გ. პაპანაშვილი, გ. ჩადუნელი, ი. გელაშვილი და სხვები, რომელთა გვერდით მუშური ფიცით დგებიან ახალგაზრდები, იწრთობიან და ღირსეულად აგრძელებენ სახახელო ესტაფეტას.

ᲗᲝᲗᲘᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ საწარმოს კოლექტივს აქვს ათასი დიდი და პატარა საᲬᲠᲣᲜᲐᲕᲘ, მრავალი პრობლემა, როᲓᲦᲔᲑᲘᲗᲘᲪ სწრაფ გამოხმაურებას მოᲘᲓᲣᲥᲪᲘᲐ, ᲡᲝᲚᲝ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ნაᲧᲝᲤᲘᲠᲔᲑᲘᲡ გეგმა 103,1 პროცენტით არის შესრულებული.

საწარმოში ყველა პირობაა შექმნილი მუშა-მოსამსახურეთა ნაᲧᲝᲤᲘᲠᲘ შრომის, სწავლისა და დასვენებისათვის. მრავალი ახალგაზრდა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ადგილზეᲕᲔ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲡ მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლას, უმაღლეს განათლებას იღებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალში, რომელიც ქარხანასთან მუშაობს. კვალიფიკაციას იმაღლებენ ᲐᲓᲒᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ სახალხო უნივერსიტეტებში, კომუნისტური შრომის სკოლებში, კურსებზე ითვისებენ მონათესავე პროფესიებს.

არც ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისათვის ზრუნვაა დავიწყებული. ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ხშირად შიხდებით სპორტულ ბაზებში ᲓᲐ ᲛᲝᲘᲯᲔᲜᲔᲑᲖᲔ, ისინი სარგებლობენ სტადიონით, ᲠᲔᲙᲠᲔᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲗ, ᲞᲘᲜᲬᲝᲠᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲘᲜᲬᲝᲠᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲓᲐᲚᲝᲜᲡᲝᲑᲘᲡ, ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲠᲘᲡ, ᲛᲫᲚᲝᲔᲡᲝᲑᲘᲡ, ᲙᲠᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲪᲘᲝᲜᲘᲡ, ᲢᲐᲛᲑᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲡ.

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲖᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲔᲪᲘᲠᲔ ᲠᲒᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲤᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲛᲣᲨᲐ-ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ, ᲡᲬᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲝᲑᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲡᲘᲛᲐᲛᲔᲡᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲡ ᲛᲣᲨᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ საᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ. ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲚᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲘᲠᲔ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ. ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲠᲘ ᲛᲔᲪᲘᲠᲔ ᲠᲒᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ — ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲔᲖᲘᲝᲚᲣᲪᲘᲐ ᲡᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲖᲘᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ.

ᲛᲔᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗᲐᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔ

# საქართველოს ფთა-ბაგეში

## სამასი კაცი შაგათოგაზე

**თერჯოლა.** მეჩაიეობის კოლმეურნეობათაშორის დახმარების მიზნით დაბა თერჯოლის საწარმო-დაწესებულებების შუშა-მომსამსახურეებმა, დაახლოებით 300-ზე მეტმა კაცმა, სოფლების ძევრისა და ზედა ხიმონეთის კოლმეურნეობებში მოაწყეს შაბათობა.

შაბათობის მონაწილეებმა სრულმოსავლიანი ჩაის ბუჩქები გაათავისუფლეს ხმელი, მოყინული ტოტებისაგან და გაასუფთავეს ჩაის პლანტაციები 12 ჰექტარზე. შაბათობაზე განსაკუთრებით ისახელეს თავი თერჯოლის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის, კავშირგაბმულობის თერჯოლის რაიონული კვანძის, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის, თერჯოლის საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზის, რაისაავადმყოფოს კოლექტივებმა.

ვ. კუტალაძე.

## შენდება ქალაქი

**ონი.** (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებს არასოდეს არ უნახავთ აქ მშენებლობის ისეთი მაღალი ტემპი, როგორიც დღეს არის გაჩაღებული. ქალაქისათვის კარგი შენაძენია ქვედრულის ახალი წყალსადენი, რომელმაც გაუმჯობესა მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება. შარშან ნორჩებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ბაგა-ბაღის შენობა.

ახლა ქალაქში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს 1.200-ადგილიანი რაიონული ცენტრალური საავადმყოფოს კომპლექსის მშენებლობა, მალე დაიწყება ავტომატური სატელეფონო სადგურისა და შვიდსართულიანი ახალი სასტუმროს მშენებლობა.

## ირგვეგა აკაცია, კაკალი, ვერხვი...

**ფოთი.** (ხაკ. კორ.). გაზაფხულის ამ დღეებში ბევრი საზრუნავი აქვთ კოლხეთის სატყეო მეურნეობის მეტყევეებს. მარტო ამ გაზაფხულს მათ უნდა დარგონ 276 ათასი ძირი ხე. როგორც სატყეო მეურნეობის დირექტორმა გ. ხარაზიშვილმა გვითხრა, კოლხეთელი მეტყევეები, როგორც ყოველთვის, ახლაც მთელი მონდომებით იბრძოლებენ დავალების პირნათლად შესრულებისათვის. პირველი ნაბიჯებიც კარგია. მდინარე ცხენისწყლის სანაპიროებზე 6 ათას ჰექტარ ფართობზე დაირგო 60 ათასი ძირი აკაცია, რიონს გაღმა მიდამოებში — 3.500 ძირი ვერხვი. ხობისა და ცხაკაიას რაიონების ტერიტორიებზე დაირგვება 22 ათასი ძირი ჭადარი და 21 ათასი ძირი ფიჭვი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მთის ,ალთებზე კაკლის, ამ სასარგებლო მცენარის გაშენებას. მეტყევეები ურთასა და მენჯის მთის ფერდობებზე 10 ათას ძირ კაკალს რგავენ. სახელმწიფო ქარსაფარი ზოლის მეჩხერ ადგილებზე დარგვის 37.400 ძირი ხემცენარე. ამ გაზაფხულზე 50 ათას ძირ ჭადარს და 25 ათას ძირ ფიჭვს დარგავენ კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული სკოლების ეზოებში.

სატყეოს ხობის რაიონში აქვს სამონადირეო მეურნეობა, სადაც მოამრავლეს კოლხური ხოხობი, გარეული ღორი, შველი და სხვა სასარგებლო ნადირ-ფრინველი. ამ დღეებში კრწანისის ტყე-პარკს 10 ფრთა კოლხური ხოხობი გაეგზავნა გასამრავლებლად.

გარეული ნადირ-ფრინველისათვის სამონადირეო მეურნეობაში გაშენეს თხილი 7 ჰექტარზე, სიმინდს თესავენ 4 ჰექტარზე, სოიას — 2 ჰექტარზე, მიწის ვაშლს — 2 ჰექტარზე, ცოცხს ერთ ჰექტარზე.

## ოღვლიანი ბილეთებით

**ონი.** (საკ. კორ.). სოფელ საკაოში მცხოვრებმა ლ. ღუღუნიშვილმა 1971 წლის მეცხრე გამოშვების ლატარიის ბილეთით (№ 442, სერია 63785) მოიგო ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

**ჟუთაისი.** (საკ. კორ.). ავეჯის ფაბრიკის ზეინკალმა ბიძინა იოსების-ძე კეპულაძემ საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1972 წლის მეორე გამოშვების ლატარიის ბილეთით (№ 359, სერია 05855) მოიგო მსუბუქი ავტომობილი „ქიგული“.

## აკვარიუმიდან — დელფინარიუმამდე

**ბათუმი.** (საკ. კორ.). ბათუმის აკვარიუმი ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესია. იგი 1966 წელს გაიხსნა და დღემდე მილიონამდე კაცმა დაათვალიერა.

აკვარიუმი ეკუთვნის ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილებას. აქ ძირითადად იკვლევენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ აუზისა და საქართველოს შიგა წყლების თევზებს, ამუშავებენ მათი მოშენების მეთოდებს, სწავლობენ სტაბორე მეურნეობების განვითარების საკითხებს.

აკვარიუმის გვერდით საფუძველი ჩაეყარა ღია დელფინარიუმს. ასეთი ნაგებობა ჩვენს ქვეყანაში პირველია. დელფინარიუმის ბაზაზე გაიხსნება ზღვის ძუძუმწოვართა განყოფილება, რომელიც ძირითადად დელფინებისა და სელაპების ფიზიოლოგია-ბიოლოგიას შეისწავლის.




თბილისი — ძველი და ახალი. ფოტო ო. თუშრეულის.

## საპატიო კოლმეურნე

**ზესტაფონი.** (საკ. კორ.). 1970 წლის შემოდგომაზე საქართველოში ისვენებდა გამოჩენილი მხედართმთავარი, სსრ კავშირის ავიაციის მთავარი მარშალი **ალექსანდრე ევგენის-ძე** გოლოვანოვი. იგი ესტუმრა სოფელ სეირის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობას. სოფლის მშრომელებმა მხურვალე, გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ავიაციის მთავარ მარშალს. გაიმართა გულღია საუბრები. ა. ე. გოლოვანოვი კოლმეურნეობას დაეხმარა ყურძნის კრეფაში. სოფლის მშრომელებმა იგი საპატიო კოლმეურნედ აირჩიეს და მისცეს კოლმეურნეობის შრომის წიგნაკი № 1, რომელშიც ჩაიწერა შრომადღის ღირებულება.

1971 წლის ოქტომბერში სვირელებს რთველში კვლავ ეწვია ძვირფასი სტუმარი მეუღლითა და შვილიშვილით. ისევ გულთბადი შეხვედრები, მეგობრული საუბრები.

სვირის საპატიო კოლმეურნეს ა. ე. გოლოვანოვს გადაწყვეტილი აქვს ყოველწლიურად მოინახულოს სვირელი კოლმეურნეები. მათ შორის გამართულია მეგობრული მიწერ-**მოწერა**. ავიაციის მთავარი მარშალის ბარათები გამსჭვალულია ქართველი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულით.

## გუნებრივი გაზის სიკეთე

**თელავი.** (საკ. კორ.). ჯერ მხოლოდ ოთხი თვეა გასული მას შემდეგ, რაც თელავის ცენტრში პირველად აინთო ცისფერი ალი და იგი უკვე ფართოდ ინერგება ქალაქის მშრომელთა ყოფაცხოვრებაში. ამჟამად თელავში მცხოვრები 216 ოჯახი სარგებლობს ბუნებრივი გაზით, ხოლო 100-ზე მეტი — უახლოეს დროში მიიღებს ამ სიკეთეს.

## შველი... მაღაზიაში

**თეგერვლის** სუსხიანი ღამით მგლების ხროვა ხულოს რაიონის სოფელ ყინჩაურის მახლობლად შველს ჩაუდგა კვალში. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილმა ცხოველმა თავის გადასარჩენად სოფელს მიაშურა. დამშეული, გაავებული მგლები ირბენდნენ სოფლის ცენტრში გაჩირაღდნებულ ლამპიონებს. ის იყო ხროვა საკბილოს უნდა მისწვდომოდა, რომ შველმა კამარა შეკრა, თავგანწირული ნახტომით მაღაზიის ვიტრინას დაეჯახა და ზიგ შევარდა.

ხმაურზე მაღაზიის დარაჯმა მ. შაინიძემ განგაში ატეხა და მგლები დაიფრთხო.

შველი დამსხვრეული მინისაგან ბევრგან დაშავდა. მას სხალთის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ზ. შაინიძემ სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა.

რამდენიმე დღის შემდეგ გაჯანსაღებული შველი ისევ ტყეში გაუშვეს.

ბ. რიუვაძე,
მ. ბოგრეინაძე.

### ჩვენი კინოყფიშა

## თბილისის ეკრანებზე

**მისი აღმატებულების ადიუტანტი**

„ეძღვნება პირველ ჩეკისტებს“ გვამცნობს ფილმის პირველი კადრები. ფილმის გმირი — საბჭოთა მზვერავი კოლეგია — თეთრგვარდიელთა ბუნაგში მოქმედებდა 1919 წელს.

...კაპიტანი კოლეგიი საკანგებო დავალებით გაგზავნეს დენიკინის მოხალისეთა არმიაში. ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით იგი მისი აღმატებულების გენერალ კოვალევსკის ადიუტანტი ხდება.

ფილმში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონფლიქტია — კაპიტან კოლეგიისა და თეთრების კონტრდაზვერვის მეთაურის შჩუკინის ურთიერთობა... სანატერესოა ემამუელის, თეთრგვარდიელთა არმიის პოლკოვნიკის ლევოვის ვაკის, იურას ამბავი.

რეჟისორ ევგენი ტაშკოვის ამ სურათში მთავარ როლებს ასრულებენ მოსკოვის მეორე თეატრის მსახიობი იური სოლომონი, მოსწავლე საშა მილოკოსტი, ვლადისლავ სტრეჟელჩიკი, ლიუდმილა ჩურსინა და სხვები.

### ბროწეულის ყვავილობა

„ბროწეულის ყვავილობა“ საიათნოვას ცხოვრებაზე მოგვითხრობს.

ფილმი არ არის პოეტის ბიოგრაფია.

რეჟისორმა სერგეი ფარაჯანოვმა კინოს საშუალებით გადმოგვცა საიათნოვას პოეტური სამყარო; ბიოგრაფია დაეხმარა რეჟისორს კინემატოგრაფიული მინიატიურების შექმნაში. სურათში არ არის ჩვეულებრივი ლიტერატურული დიალოგები, იგი წმინდა გამომსახველობითი ხერხით არის გადაწყვეტილი...

ფილმში მონაწილეობენ სოფიკო ჭიაურელი, მელკოფ ალექსიანი, ვიოლენ გალსტიანი, გიორგი გეგეჭკორი, ონიკ მინოსიანი, მედეა ჯაფარიძე.

### ზახარ ბერკუტი

ამ ფილმს ახლახან თბილისში გამართულ V საკავშირო კინოფესტივალზე სახალხო გმირული ტრაგედიების დამკვიდრებისათვის პრიზი და პრემია მიენიჭა.

ფილმი ცნობილი მწერლის იგანე ფრანკოს მოთხრობის მიხედვით შეიქმნა და მოგვითხრობს კიევის სამთავროზე თათარ-მონღოლთა თავდასხმის, სლავთა წინააღმდეგობის შესახებ...

1241 წელი. კარპატების მომხიბლავი, მიყრუებული სოფელი ტუხლია. აქ მშვიდად მიდიან დღეები. იზრდებიან ზაქარია ბერკუტის ვაჟები... მოხუცი მამა უმცროს ვაჟში მაქსიმეში ხედავს თავისი საქმის საიმედო განმგრძობს...

მთავარ როლში ვიხილავთ კოლომნის სახალხო თეატრის მსახიობსა და რეჟისორს ვასილ სიმჩრის, რომელსაც ვიცნობთ ფილმებით „ქვის ჯვარი“, „ანიჩკა“, „შავნიშნიანი თეთრი ფრინველი“.

ფილმის დამდგმელი რეჟისორია ლეონიდ ოსიკა.



## საპატიო ადგილი

## რ. შავლაყაძის პრიზზე

**რომი** ოლიმპიადის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებული ოსტატის რ. შავლაყაძის სახელი კარგად არის ცნობილი სპორტულ სამყაროში. არა ერთი ბრწყინვალე შედეგი უჩვენებია მას ისეთ აღიარებულ სპორტსმენებთან პაექრობაში, როგორიც არიან ვ. ბრუმელი, ჯ. თომასი და სხვები. სწორედ აქ დასახელებულ სპორტსმენებთან ჰქონდა ჩვენს თანამემამულეს რ. შავლაყაძეს სპორტული დავა რომის XVII ოლიმპიადაზე სიმაღლეზე ხტომაში, მაშინ ყველას სძლია და 2 მეტრი და 16 სანტიმეტრის შედეგით ოლიმპიური თქრის მედალი დაიმსახურა. ეს შედეგი რ. შავლაყაძისთვის ზღვარი არ ყოფილა, ტოკიოს ოლიმპიადის წელს იგი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა (2 მეტრი და 17 სანტიმეტრი), ხოლო თვით ტოკიოს ოლიმპიადაზე, მიუხედავად იმისა, რომ ავად იყო, მეხუთე ადგილი მაინც დაიკავა.

მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო. უკვე მესამედ თამაშდება თბილისში ამ სახელოვანი სპორტსმენის პრიზი, რომელშიც საბჭოთა კავშირის აღიარებულ სიმაღლეზე მხტომელებთან ერთად მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. პირველი ასეთი საერთაშორისო შეჯიბრება მოეწყო 1970 წელს. მაშინ რ. შავლაყაძის პრიზი ხვდა მინსკელ ა. კასკოვს, რომელმაც აჩვენა შედეგი 2 მეტრი და 11 სანტიმეტრი. შარშან კი ასეთსავე ასპარეზობაში უძლიერესის სახელი დაიმკვიდრა რ. ახმეტოვმა (ბერდიჩევი, 2 მეტრი და 17 სანტიმეტრი).

და აი გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში მესამეჯერ გათამაშდა რ. შავლაყაძის პრიზი სიმაღლეზე ხტომაში. ჩვენი სტუმრები იყვნენ ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, დანიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის მხტომელები.

პირველად სასპარეზოდ გამოვიდნენ ქალები.

9 სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. თბილისის სპორტის სასახლის ახალი რეკორდით (180 სანტიმეტრი) მთავარი პრიზი მოიპოვა ჩეხოსლოვაკიელმა ნ. პროსკოვამ. მეორე ადგილზე გამოვიდა გ. აისტრონი (დანია, 177 სანტიმეტრი), მესამეზე — თბილისელი მ. ალიაკრინსკაია (174 სანტიმეტრი).

ვაჟთა შორის ბრწყინვალედ გამოვიდა ლენინგრადელი ი. ტარმაკი — 223 სანტიმეტრი (სპორტის სასახლის რეკორდი). მან ამავე საღამოს იერიში მიიტანა ვ. ბრუმელის მსოფლიო რეკორდზე, მაგრამ ვერ დაძლია 226 სანტიმეტრი. მეორე იყო ბრიანსკელი ვ. კოზლოვი (220 სანტიმეტრი). გამარჯვებულებს გადაეცათ ჯილდოები.

## ახალი მსოფლიო რეკორდი

**მინსკში** მიმდინარეობს „ბურევესტნიკის“ ძალოსანთა საკავშირო შეჯიბრება. ტურნირზე წარმატებით გამოვიდა სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის პრიზიორი ტაშკენტელი ე. კარიმოვი (ქვემდებარეობა წონა). მან აკვარაში აჩვენა 155,5 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. წინანდელი რეკორდი, რომელიც დონეცკელ ი. გოლუბცოვს ეკუთვნოდა, გაუმჯობესებულია ნახევარი კილოგრამით.

## სსრ კავშირის თასზე

**გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების უკანასკნელი მეორე მერვედფინალური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ალმა-ათის „კაირატის“ გუნდები (მათი პირველი შეხვედრის შედეგი იყო 1:1). ამჯერად წარმატება ლოკომოტიველებს ხვდათ 2:1 და მეოთხედფინალში ისინი გავიდნენ.

ამრიგად, ცნობილია რვავე მეოთხედფინალისტი. ესენი არიან — თბილისის „დინამოს“, არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის, მოსკოვის „სპარტაკის“, ლენინგრადის „ზენიტის“, ლვოვის „კარპატის“, დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის, მოსკოვის „ტორპედოსა“ და „ლოკომოტივის“ გუნდები.

მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ლვოვის „კარპატი“ და თბილისის „დინამო“, ლენინგრადის „ზენიტი“ და მოსკოვის „ტორპედო“, ცსკა და დონის როსტოვის სკა, მოსკოვის „სპარტაკი“ და „ლოკომოტივი“.

ლვოვის „კარპატისა“ და თბილისის „დინამოს“ პირველი მეოთხედფინალური მატჩი შედგება ლვოვში 21 მარტს.

## სტარტზეა „მცირე ფეხბურთი“

**პირველი** ტურნირი „მცირე ფეხბურთში“ 24 მარტს აიღებს სტარტს მოსკოვში. ამ შეჯიბრებას აწყობს „ნედელიას“ რედაქციის ფეხბურთის კლუბი. მასში მონაწილეობას მიიღებს 10-11 წლის ბიჭუნათა 8 გუნდი.

სათამაშო მოედანი 15X30 მეტრია (მოედანი შეიძლება ცოტა მეტიც იყოს და ნაკლებიც), კარი დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ხელბურთში, გუნდში სამიდან შვიდი მოთამაშეა, ბურთი უფრო მჩატეა.

## სარკე რომ სუფთა იყოს...

### ქართული დერმატოლოგიის პერსპექტივები

კანს მედიცინაში ორგანიზმის სარკეს უწოდებენ. დერმატოლოგიას (მეცნიერება კანის დაავადებათა შესახებ) უძველეს დროში ჩაეყარა საფუძველი. ბევრი რამ არის დამოკიდებული კანის მოვლასა და მკურნალობაზე. ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ დიაგნოზს ნიმ კანის მდგომარეობის მიხედვით ადგენენ.

ქართულ დერმატოლოგიას დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი განვითარების საფეხურებს მეოთხე საუკუნიდან ითვლიან.

ამჟამად მედიცინაში კანის სამასამდე დაავადება არის ცნობილი. დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად სერიოზული მუშაობაა საჭიროო, ეს კი კვალიფიციურ სპეციალისტებს მოითხოვს. რესპუბლიკაში კადრების მომზადების საქმეში დიდ მუშაობას ეწევა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და, კერძოდ, მისი კანის დაავადებათა კათედრა.

სამედიცინო ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტებისათვის როგორც წესი, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობა ეწყობა კანის დაავადებათა კათედრაზე. აქ მათს სწავლას ხელმძღვანელობენ პროფესორები დ. საყვარელიძე და დ. ჭოჭუა, დოცენტი ვ. მარრაძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები ე. თოიძე, ე. თოფურიძე და ასისტენტი ბ. გეგიადე. ამ კათედრას სასახელო ტრადიცია აქვს, იგი ინსტიტუტთან ერთად დაარსდა. კათედრას 37 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა დვაწლმოსილი სმეციალისტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი პეტრე ბუაჩიძე. ის იყო უანგარო აღმზრდელი ახალგაზრდა თაობებისა, რომლებიც ახლა, ქართველ მედიკოსთა დიდ ნაწილს შეადგენენ. ა. ბუაჩიძის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით ბევრი საყურადღებო რამ გაკეთდა კათედრაზეც. ეს კარგი ტრადიცია გრძელდება.

კანის დაავადებათა კათედრის ხელმძღვანელი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. საყვარელიძე ავტორია სახელმძღვანელოსი — „კანისა და ვენერიული დაავადებანი“. ყობა კანის დაავადებათა კათედრაზე. აქ მათს სწავლას ხელმძღვანელობენ პროფესორები დ. საყვარელიძე და დ. ჭოჭუა, დოცენტი ვ. მარრაძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები ე. თოიძე, ე. თოფურიძე და ასისტენტი ბ. გეგიადე. ამ კათედრას სასახელო ტრადიცია აქვს, იგი ინსტიტუტთან ერთად დაარსდა. კათედრას 37 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა დვაწლმოსილი სმეციალისტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი პეტრე ბუაჩიძე. ის იყო უანგარო აღმზრდელი ახალგაზრდა თაობებისა, რომლებიც ახლა, ქართველ მედიკოსთა დიდ ნაწილს შეადგენენ. ა. ბუაჩიძის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით ბევრი საყურადღებო რამ გაკეთდა კათედრაზეც. ეს კარგი ტრადიცია გრძელდება.

კანის დაავადებათა კათედრის ხელმძღვანელი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. საყვარელიძე ავტორია სახელმძღვანელოსი — „კანისა და ვენერიული დაავადებანი“.

მისივე ავტორობით გამოვიდა რამდენიმე მონოგრაფია, მათ შორის აღსანიშნავია: „კანის დაავადებათა გეოგრაფიული გავრცელებისა და სეზონურობის საკითხისათვის“ (რუსულ ენაზე); დერმატოზების კორტიკოსტეროიდული პორმონებით მკურნალობის ზოგიერთი საკითხი“, „შეცდომები ათამაგნის გადამდები ფორმების დიაგნოსტიკაში“, „ზოსტერის მკურნალობის საკითხისათვის“, „მედიკამენტური დერმატიტები და ტოქსიდერმიები“.

უკანასკნელ ორ წელიწადში წარმატებით დაიცვეს დისერტაციები კათედრის თანამშრომლებმა დ. ჭოჭუამ, სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოში მცხოვრებ მოხუცთა და დღეგრძელთა კანის კლინიკისა და მორფოლოგიის საკითხი“, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად — ე. თოფურიძემ „ეგზემით დაავადებულთა კომპლექსური ბალნეოთერაპიის ეფექტურობა თბილისის თერმული გოგირდოვანი წყლით“ და ე. თოიძემ — „ფსორიაზის მკურნალობა ციტოსტატიკური პრეპარატებით“.

კანის დაავადებათა კათედრაზე დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტთა პროგრამირებულ სწავლებას, უკვე ორი წელია, რაც კლინიკურ დისციპლინებში პროგრამირებული სწავლება დაამკვიდრეს, რამაც კარგი გავლენა მოახდინა სტუდენტთა აკადემიურ წარმატებაზე. სტუდენტებთან მუშაობისას სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობა კლინიკური დისპანსერის სტაციონარში მყოფ ავადმყოფთა მკურნალობას.

კათედრაზე, სტუდენტებს ისევე, როგორც ექიმებს პრაქტიკული მეცადინეობის პერიოდში, საშუალება აქვთ ავადმყოფთა მკურნალობისათვის გამოიყენონ უახლესი თანამედროვე მეთოდები. სტუდენტები დეტალურად ეცნობიან დაავადებათა კლინიკურ სურათს და მკურნალობენ ისეთ რთულ დერმატოზებს, როგორიც არის მაგალითად პემფიგუსი, ფსორიაზული ერითროდერმია და სხვ. გარდა ამისა, კათედრაზე არსებულ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში, ახალგაზრდები საშუალება ეძლევათ გაეცნონ უახლეს ლიტერატურას მთელი რიგი დერმატოზების შესახებ, დაამუშაონ მეცნიერული შრომები.

ახლა მეორე სემესტრია. სხვიებამდე კიდევ ბევრი დრო დარჩა. კანის დაავადებათა კათედრაზე ლექციებს პრაქტიკული მეცადინეობა ენაცვლება.

ბელა დურგლიშვილი.

## ტრაღიციის ერთგული

**ტყიბული.** (საკ. კორ.). საქმიანმა ურთიერთობამ დაკავშირა ერთმანეთს ორი ქალაქის — ჭიათურისა და ტყიბულის მშრომელები. ტრადიციად დამკვიდრდა, რომ მეზობლები ყოველწლიურად ეგმბიანან ურთიერთან სოციალისტურ შეჯიბრებაში, უზიარებენ ახალ შრომითს მიღწევებს. ასე მოხდა ამჯერადაც. ტყიბულელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში კვლავ ჭიათურელები გამოიწვიეს. შეჯიბრება ძალაში შევიდა.

ამ დღეებში დიდი გამოცოცხლება იყო ტყიბულშახტმშენის სამმართველოში. მოწინავე სამთო საწარმოს დელეგაცია ესტუმრა ჭიათურიდან. მშენებარე კომკავშირული შახტის საგანრიგოში ხალხმრავალი სახელდახელო მიტინგი გაიმართა, რომელიც სოციალისტური შეჯიბრების ახალი ვალდებულებების განხილვას მიეძღვნა. მიტინგის შემდეგ ჭიათურელმა მშენებლებმა დაათვალიერეს კომკავშირული შახტი. გაეცნენ მშენებლობის ახალ მეთოდებს. თავის მხრივ მეგობრებს მისცეს ზოგიერთი რჩევა-დარიგება. სტუმრები დაინტერესდნენ ავრეთვე შახტმშენებელთა შრომისა და ცხოვრების პირობებით, ინახულეს ქალაქის დირსშესანიშნავი ადგილები.

## საკავშირო კონკურსში გამარჯვებული

შეჯამებულია პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის საუკეთესო გაშუქებისათვის სრულიად საკავშირო კონკურსის შედეგები.

კონკურსში გიმარჯვეს ცენტრალური, რესპუბლიკური, სამხარეო გაზეთების და ჟურნალების რედაქციებმა, აგრეთვე სხვადასხვა პერიოდული გამოცემის მრავალმა ჟურნალისტმა.

კონკურსის გამარჯვებულთა შორის არის საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის კომენტატორი კოტე მახარაძე. იგი დაჯილდოვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სიგელით და სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის სამახსოვრო მედლით. (საინფორმი).



## ტელევიზია

**19 მარტი**

**პირველი პროგრამით**

09.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.30 — ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — კინოპროგრამა „რომაული პორტრეტი“ და „არქიტექტორი ჯაკომო კვარენგი“, 11.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 12.45 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია სსრ კავშირის ისტორიაში, 13.25 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ოთხი ტანკისტი და ძაღლი“. მეჩვიდმეტე სერია, 14.20— „კინოაფიშა“, 14.40 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „კომენსკი“, 15.10— ხალართველოს ფერადი ტელევიზია: „კინოდოკუმენტალისტის თვალით“, 16.10 — „მსოფლიო დღეს“, 16.30 „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 17.00 — სპორტული კლუბი „მშენებელი“, 17.15 — სატელევიზიო სახალხო უნივერსიტეტი — სტუდიაში საბჭოთა კავშირის განათლების მინისტრი მ. ა. პროკოფიევი (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — ფერადი ტელევიზია. „კინომოგზაურობის კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — კონცერტი — ქართველ კომპოზიტორთა კამერული ნაწარმოებები, 19.25 — სატელევიზიო ფელეტონი „მოხსენებითი ბარათი“, 19.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.55 — საბჭოთა კავშირის პროფკავშირების XV ყრილობის შეახვედრად (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.05 — იაპონია დღეს (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია 1. „ბუნების კარი“ და 2. მულტკვრანი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საეს.ტრადო ორბიტაზე.

**მეორე პროგრამით**

21.00 — მხატვრული ფილმი „დირექტორი“ (მეორე სერია).

**20 მარტი**

**პირველი პროგრამით**

10.55 — საბჭოთა კავშირის პროფკავშირების XV ყრილობის გახსნის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. ტრანსლაციის შემდეგ კონცერტი — (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ცეროდენას ეკრანი“, 18.35 — განცხადებები, 18.40 — კინოპროგრამა — „სსრკ-50“, 19.40 — „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი მოქმედებაში“, 20.00 — ლენინური პრემიის მოსაპოვებლად: „მემორიალური კომპლექსი ულიანოვსკში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — საბჭოთა კავშირის პროფკავშირების XV ყრილობის გახსნის რეპორტაჟი (გადმოცემა მოსკოვიდან). 23.00 — კონცერტი მოსკოვიდან.

**მეორე პროგრამით**

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (ელექტრომენტალური ამოცანების ამოხსნა VI-კლასელთათვის), 19.05 — სკოლების დასახმარებლად — შრომითი პოლიტექნიკური სწავლება (ელექტროსახურებელი ხელსაწყოები. VIII-კლასელთათვის), 19.50— განცხადებები, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ქიმიაში. 20.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ფილოსოფიაში, 21.40 — მხატვრული ფილმი „აღდგომა“ (პირველი სერია).

## თეატრები

**19 მარტი**

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ-კიხოტი (დღისით), ტრუბადური (საღამოს მე-8 და მე-9 აბონ. მე-2 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სალამურა (დღისით), ხანუმა (საღამოს), რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — სამანიშვილის დედინაცვალი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — დონ კარლოსი (დღისით), სამი ასული და ტყის ქალები (საღამოს); ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მაკო�d, კეტ (დღისით), სიმღერა ტყეში (საღამოს).

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ



**რედაქტორის მოადგილე**
**ბ. თათარიშვილი.**




380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-53-09, პ/ბ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა ნშენრებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 02580

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.